ხაშურის მოამბე

№14 (195) 8 აპრილი, ორშაბათი, 2019 წელი

საკრებულოს სხდომა

2 აპრილს, ხაშურში, ადმინისტრაციულ სახლში, გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა. სხდომაზე საკრებულოს წევრებმა, განიხილეს თორმეტი

საკითხი. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ცვლილებები შევიდა საკრებულოს ადრემიღებულ რამდენიმე დადგენილებაში. სხდომაზე დამტკიცდა მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესი.

საკრებულომ თანხმობა მისცა მუნიციპალიტეტის მერიას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (LEXVS RX 300) ა(ა)იპ „ხაშურსერვისისთვის“, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემას.

ამავე სხდომაზე, დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (მიწის ნაკვეთი) პრივატიზაციის გეგმა. სხდომაზე, თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „ხაშურსერვისში“ და ა(ა)იპ „სავანეში“ რეორგანიზაციის დაწყების და მათი შერწყმის თაობაზე. ასევე, თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტის მერიას ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე, ავტომაგისტრალის გასწვრივ, ღობეების მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე.

სხდომამ ცნობად მიიღო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის (შავლეგ დოლიძე) გადარჩევა და ამავე პოსტზე ახალი მოადგილის (დავით გარადინსკი) უფლებამოსილება.

სხდომის ბოლოს, საკრებულომ დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“ (იხილეთ მეორე გვერდზე).

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ზურა როსებაშვილის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ”ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №37 დადგენილების - „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ”, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №47 დადგენილების შესაბამისად და ზურა როსებაშვილის 2019 1 აპრილის №1889 განცხადების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნოს ზურა როსებაშვილი 2019 წლის 1 აპრილიდან;
2. ბრძანება ეცნობოს ზურა როსებაშვილს;
3. ბრძანება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო სამსახურებს;
4 ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში(ქ.ხაშური კოსტავას 1.№15) ერთი თვის ვადაში.

ზურა როსებაშვილი

დაიბადა 1966 წლის 7 მარტს. 1983 წელს დაამთავრა გორის მე-9 საშუალო სკოლა, 1990 წელს კი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი და მიიღო ინჟინერ-მშენებლის სპეციალობა.

1990-2000 წლებში მუშაობდა „საქსოფლმშენის“ №3 სამშენებლო ტრესტში სამუშაოთა მწარმოებლად. 2000-2004 წლებში იყო სს „საქთხევადგაზის“ გორის ჩამომსხმელი სადგურის მთავარი ინჟინერი, შემდეგ - 2009 წლამდე იყო კერძო ბიზნესში. 2010 წელს იგი არჩეულ იქნა ქ. გორის საკრებულოის წევრად, სადაც 2012 წლამდე იყო ფრაქციის თავმჯდომარე, 2012-2014 წლებში - რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილ;ე.

2014-2015 წლებში იგი, ქ. გორის საკრებულოში, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეა. შემდეგ კი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. 2016-2017 წლებში იგი ქ. გორის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მუნიციპალიტეტის მერია სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებს დაეხმარება

31 მარტს, ქარმა, რომლის სიჩქარე ჩვენს მუნიციპალიტეტში, წამში 20 მეტრს აღწევდა, მოსახლეობას გარკვეული ზარალი მიაყენა. კონკრეტულად კი სურამის მონაკვეთზე (ბეკამი, ჩუმათელეთი) რამდენიმე სახლს საგრძნობლად დაუზიანა

სახურავი. მერიაში, ამ ფაქტთან დაკავშირებით, სასწრაფოდ შეიქმნა კომისია, რომელსაც მერის მოადგილე ზურა როსებაშვილი თავჯდომარეობს. როგორც ბატონმა ზურამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, კომისიის წევრები უკვე იმყოფებოდნენ ადგილზე, დეტალურად შეისწავლეს ყველა დაზარალებული მოქალაქის მდგომარეობა და შედგა სათანადო აქტები დაზიანების ხარისხზე და მასშტაბზე.

– ამ წუთისთვის 15-მდე ასეთი აქტია შედგენილი. დაზიანებები სხვადასხვა მასშტაბისაა. ჩვენ ახლა ვაანალიზებთ თითოეული დაზარალებული მოქალაქის მდგომარეობას და, რა თქმა უნდა, მათ სათანადო დახმარებასაც აღმოვუჩენთ. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, რა სახის იქნება დახმარება – ფულადი თუ სამშენებლო მასალებით, მაგრამ თითოეული დაზარალებული რომ კომპენსაციას მიიღებს, შემიძლია დაგიდასტუროთ, – განაცხადა საუბრის ბოლოს ბატონმა ზურამ.

.ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის № 48 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2018 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 11 990,8 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით, ირიცხებოდა 1 919,1 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთი შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე,მიმდინარე წლის განმავლობაში,დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2018 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 17 795,2 ათასი ლარით, რაც 5 804,4 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2018 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლები (გადასახადები, სხვა შემოსავლები,არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები, და გათანაბრებითი ტრანსფერი), მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერები.

2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების წლიურმა საკასო შესრულებამ 15 736,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (16 176,5 ათასი ლარი) 97,3%-ს შეადგენს, შემოსულობების გეგმის შესრულება ცალკეული სახეობების მიხედვით კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

გადასახადების გეგმა შესრულდა - 127.3%-ით (3 373.7 ათასი ლარი),მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი - 119.7 %-ით,საწარმოთა ქონების გადასახადი - 130.3 %-ით,ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 817.6%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 150.1 %-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 119.9 %-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა - 71.1%-ით (1 369.3 ათასი ლარი), მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 69,6%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 102,0%-ით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 70,8 %-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 70,8%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 64,6%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან – 167,1 %-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობების იჯარიდან – 83.3 %-ით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 100,0%-ით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 102,8%-ით ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაციიდან) მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა – 50,0 %-ით.

შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების ხვედრითი წილი შეადგენს 66,3 %-ს (10 429,3 ათას ლარს), „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხაშურის მუნიციპალიტეტს გათანაბრებითი ტრანსფერის სახით გამოეყო და მიღებულია 7 140,8 ათასი ლარი, ხოლო მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 225,0 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 007,3 ათასი, მიღებულია 2 962,8 ათასი ლარი, ხოლო ათვისებულია 2 430,7 ათასი ლარი, აღნიშნული განკარგულებით განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია (გარდამავალი პროექტი), სოფელ ქვიშხეთში – გზის მოასფალტება, სოფელ ტეზერში შესასვლელი გზის მოასფალტება, დაბა სურამში –26 მაისის ქუჩის მოასფალტება, სოფელ ზემო ოსიაურში – გზის მოასფალტება, დაბა სურამში –წმინდა მარიამის ქუჩის მოასფალტება, დაბა სურამში ლესია უკრაიკას ქუჩის მოასფალტება დაბა სურამში – 26 მაისის ქუჩის მონაკვეთზე ბეტონის საფარის და სანიაღვრე არხის მოწყობა.

2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ 15 818.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის (17 795.2 ათასი ლარი) 88.9 %-ს შეადგენს.

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმის საკასო შესრულება, ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად გადანაწილდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება - 98,9 %-ით, საქონელი და მომსახურება - 91,9 %-ით, პროცენტი - 97,6%-ით, სუბსიდია - 99,8 %-ით, გრანტები - 99,2 %-ით, სოციალური უზრუნველყოფა - 98,0 %-ით, სხვა ხარჯები - 70,9%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 79,1%-ით და ვალდებულებების კლება - 99,9 %-ით (დანართი №5).

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის საკასო შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 96,2% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 15,1 %), თავდაცვა - 94,4 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,8%), ეკონომიკური საქმიანობა - 89,4% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 28,4 %), გარემოს დაცვა - 99,8 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 7,7 %), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 86.5 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 7.7 %), ჯანმრთელობის დაცვა - 100,0% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,6%), დასვენება, კულტურა და რელიგია - 75,5 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 19,1 %), განათლება - 94,5 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 14,3 %), სოციალური დაცვა - 96,5% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 6,4 %) (დანართი №6).

მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე საანგარიშო პერიოდის ბოლოს (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით),ნაშთის სახით ირიცხებოდა 1 838,1 ათასი ლარი,და მათი გამოყენება მიზნობრიობის დაცვით გათვალისწინებულია 2019 წლის ბიუჯეტით.

2018 წლის ბიუჯეტით დაფინანსდა აგრეთვე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული პროგრამები და ქვეპროგრამები რომელთა საკასო შესრულებამ 5 122.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (5 130.4 ათასი ლარი) 99,8 %-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №48 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებლივი აქტების საფუძველზე. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წლის 9 და 10 იანვარს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 15 იანვრის №127 ბრძანების საფუძველზე, სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 20,0 ათასი ლარი, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 იანვრის № 259 ბრძანების საფუძველზე, სარეზერვო ფონდიდან 1,2 ათასი ლარი გამოეყო ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურში მცხოვრებ სოფიო მეტივიშვილს, შვილის ნუგზარ მეტივიშვილის მკურნალობის ხარჯების დასაფინანსებლად.

ამრიგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს მისცა ბიუჯეტის გადასახდელების გეგმით გათვალისწინებული პროგრამის, ღონისძიებების და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების საშუალება და შესაბამისად, ამ პროგრამების ძირითადი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა.

(დამატებითი ინფორმაცია - დანართები ცხრილების სახით, შეგიძლიათ იხილოთ საკრებულოს ვებგვერდზე)

ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის და ქსელის რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტი დაიწყო!

არსებული პროექტით 3 000-ზე მეტი ბენეფიციარი ისარგებლებს, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს მათ საყოფაცხოვრებო პირობებს.

ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობა სავალალო მდგომარეობაში იყო. წყალი გაუფილტრავად და წყვეტილ რეჟიმში მიეწოდებოდა მოსახლეობას.

პროექტის განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიცვლება არსებული სიტუაცია. მდინარე ბიჯნისულას ხევში, ჰორიზონტალური სალექარების სახით, ახალი სათავე-ნაგებობა მოეწყობა, აქედან წყალი გადავა ულტრაფილტრაციის კომპლექსის შენობაში და გაივლის საბოლოო გაწმენდის პროცესს. გაფილტრული წყალი, დეზინფექციის შემდეგ, გადაიქაჩება სუფთა წყლის რეზერვუარში და იქიდან მიეწოდება აბონენტებს.

„უკვე ზაფხულიდან, როდესაც სურამში დამსვენებლების პიკია და მოსახლეობას წყალი განსაკუთრებულად ესაჭიროება, თითოეულ ოჯახს წყალმომარაგება 24 საათიანი რეჟიმით ექნება.

პროექტი გარდამავალია. საწყის ეტაპზე გაკეთდება სათავე და რეზერვუარი, შემდეგ კი მოხდება ქსელის მოწყობა. პროექტის განხორციელების შედეგად, დაბა სურამში, ჩუმათელეთისა და იტრიის უბნებსა და მიმდებარე სოფლებში, ხარისხიანი წყალმომარაგების მეტად მტკივნეული პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება. "-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა სოფელ ბიჯნისში წყლის სათავე ნაგებობის, მაგისტრალის, რეზერვუარისა და დასახლებების ჯგუფური მიწოდების სისტემების მოწყობის სამუშაოების დათვალიერებისას.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე-მიხეილ ჯანაშვილი.

პროექტი გარდამავალია, ექსპლუატაციაში 2020 წელს შევა, მიმდინარე წელს კი გათვალისწინებულია სათავე-ნაგებობის რეაბილიტაციის დასრულება.

პროექტის ჯამური ღირებულება 1248 991 ლარს შეადგენს და ადგილობრივი ბიუჯეტისა და სახელმწიფო სახსრების თანადაფინანსებით ხორციელდება.

<u>- ჩვენი წარმატებული თანამემამულენი -</u>

ლელა ჯანაშვილი: მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავი შრომაა საჭირო, სასურველი შედეგი სწორედ ამას მოაქვს...

ჩვენი დღევანდელი რუბრიკის ,,წარმატებული ხაშურლების" სტუმარი თსუ-ს იურიდიულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ლელა ჯანაშვილია,** რომელთანაც სასაუბროდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვესტუმრეთ. ვინც ჩვენ გაზეთს აქტიურად ადევნებს თვალყურს, დაგვეთანხმება, რომ თითქმის არ დარჩენილა არცერთი სფერო, სადაც ჩვენს თანამოქალაქეს წარმატებისთვის არ მიეღწიოს, ქალბატონი ლელას გაცნობა კი, ამ მხრივ, ნამდვილი დღესასწაული იყო, რადგან მისი წარმატებული მოღვაწეობა თითოეული ჩვენგანისთვის სიამაყის საგანს წარმოადგენს. მეტად საინტერესო საუბრის შემდეგ, დავრწმუნდით, რომ ქალბატონი ლელა, რომელიც საოცარ პოზიტივს აფრქვევს, უამრავ ადამიანს უმაღლებს მოტივაციას - მის კოლეგებს, სტუდენტებს, ოჯახის წევრებს და თვითგანვითარებისკენ უბიძგებს

მათ. ადამიანმა, რომელმაც შრომის ფასი ყველაზე უკეთ იცის, თავდაუზოგავი შრომით ნანატრ წარმატებასაც მიაღწია და თავის პროფესიაში, ჭეშმარიტად, წარჩინებულ ფრიადოსნად მოგვევლინა. ასე, რომ გათავზობთ საინტერესო ინტერვიუს რესპოდენტთან, რომელიც კვლავ და კვლავ განაგძობს ახალი სიმაღლეების დაპყრობას.

- ქალბატონო ლელა, საუბარი თქვენი ბაშვობიდან დავიწყოთ..

– სიამოვნებით, მით უფრო რომ ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდია ჩემს ცხოვრებაში. ვსწავლობდი ხაშურში, ამიერკავკასიის რკინიგზის №4 საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1987 წელს წარჩინებით, ოქროს მედალზე. 1988 წლიდან კი სწავლა განვაგრძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, უნივრსიტეტიც წაჩინებით დავამთავრე 1993 წელს, წითელ დიპლომზე.

- დღესდღეობით თსუ-ს პროფესორი ბრძანდებით, როდესაც პირველად უნივერსიტეტში მოხვდით სტუდენტის სტატუსით, გიფიქრიათ, რომ ოდესმე ამავე უნივერსიტეტის პროფესორი გახდებოდით?

– როდესაც თსუ-ში ჩავაბარე, ცხადია, განსხვავებული განათლების სისტემა იყო. პირველ კურსზე ვსწავლობდით სულ რაღაც 70 სტუდენტი, ახლა კი 450 სტუდენტი გვყვავს, ასე რომ მაშინ, არათუ სამომავლო პროფესორობაზე ვფიქრობდით, არამედ ისიც ძალიან დიდი მიღწევა იყო, რომ მოხვედრილიყავი იურიდიულ ფაკულტეტზე. დიდებული პროფესორები მასწავლიდნენ: თედო ნინიძე, მიხეილ კეკელია, ბესო ზოიძე, რომლებმაც, ასე ვთქვათ, გადამწყვეტი როლი ითამაშეს ჩემი ცხოვრების დადებითად წარმართვაში. მახსენდება, პირველი გამოცდა, პირველ კურსზე, გვქონდა ქართული სამართლის ისტორიში. მოგეხსენებათ, საქართველოში, ჯერ კიდევ კომუნისტური წყობა იყო და გამოცდა დაინიშნა, არც მეტი არც ნაკლები, 7 იანვარს, რა თქმა უნდა მომზადებული მივედი და როდესაც ბილეთში დასმული საკითხები მოვყევი, მიხეილ კეკელიამ აღნიშნა, რომ დღეს შობაა და ამ პასუხში სხვა ნიშნის დაწერა არ შემიძლია, გარდა ფრიადისო... მის მერე, ასე ვთქვათ, ფრიადოსანი გახლდით და მასზე დაბალი ნიშანი არც მიმიღია.

- იურისტობა თქვენი საოცნებო პროფესია იყო?

– დიახ ასეა. თუმცა, ერთმა ადამიანმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამაში. მერი მთიულიშვილი – დედაჩემის დეიდა – პროკურორი გახლდათ. პატარაობისას, ხშირად გვსტუმრობდა. ყოველთვის აღფრთოვანებული და მოხიბლული ვიყავი მისი პიროვნებით და პროფესიით. ვთვლი, რომ მოზარდობაშიც იგივე შთაბეჭდილებები გამყვა და სკოლის დასრულების შემდეგ გადავწყვიტე პროფესიად სწორედ იურისტობა ამერჩია.

- როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება სტუდენტობის შემდეგ?

– უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იმავე წელს, სტაჟირება დავიწყე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სამოქალაქო და საარბიტრაჟო საქმეებზე სასამართლო აქტების კანონიერებისა და ზედამხედველობის სამმართველოს სტაჟიორ-პროკურორად.

- იყო პროკურატურა საქმიანობის ის სფერო, რომელშიც გსურდათ გეღვაწათ?

– პროკურატურაში, თავდაპირველადვე, საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი სამუშაო გარემო დამხვდა. ვიღებდი მონაწილეობას როგორც სამოქალაქო საქმეების განხილვაში, განქორწინების საქმეებში, საარბიტრაჟო დავებში, აგრეთვე, სისხლის სამართლის ბრალდების დეპარტამენტშიც, ანალიტიკურ საქმეებზე, შემდგომში არასწრულწლოვანთა განყოფილებაში და საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოში, სადაც ყველაზე კომფორტულად ვგრძნობდი თავს და დღესაც სასწავლებელში სწორედ იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო განყოფილებას ვხელმძღვანელობ. ვთვლი, რომ საერთაშორისო ურთიერთობები ჩემი პროფილია და ყოველთვის პრიორიტეტი იყო, სადაც არ უნდა მემუშავა.

- როგორც ვიცით, პარალელურად, სწავლობდით ასპირანტურაში..

– დიახ, ნამდვილად. 2003 წელს, დავიცავი პირველი საკანდიდატო დისერტაცია ტერიტორიული მოწყობის პრობლემატიკაზე და მომენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ვმუშაობდი, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტში, როგორც მეცნიერ-თანამშრომელი. 2006 წლიდან უკვე გავაგრძელე თანამშრომლობა უნივერსიტეტთან და ვიყავი ლექტორის მრჩეველი. შემდგომ, 2007 წლიდან, აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი. პარალელურად გავხდი იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

- 2009 წლიდან დაიწყო თქვენი ევროპული გზა..

– აღვნიშნავ, რომ თანამშრომლობა 2009 წლამდეც აქტიურად მიმდინარეობდა. როდესაც ასპირანტურაში ჩავაბარე, ჩემი ხელმძღვანელი ბატონი გიორგი ხუბუა იყო, რომელსაც აქვს ნაშრომი ფედერალიზაციის შესახებ, რომელიც მისი სადოქტორო დისერტაცია იყო. ეს არის შესანიშნავი ნაშრომი როგორც მეცნიერული, ასევე ინფორმაციული თვალსაზრისით და აბსოლუტურად ამომწურავად გვიყვება ფედერალური სისტემების მოდელების შესახებ. სწორედ ეს ტერიტორიული მოწყობის პრობლემატიკა იყო ჩვენი შესწავლის ერთ-ერთი მთავარი საკითხი. ამიტომ, გადავწყვიტეთ, ტერიტორიული მოწყობის პრობლემატიკით განსხვავებული მოდელი შეგვესწავლა. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო, ჯერ კიდევ 20 წლის წინ, ესპანეთი, რეგიონური სახელმწიფო, რომელიც ტერიტორიული და ეთნიკური პრობლემებით, გარკვეულწილად, ახლოს იდგა საქართველოსთან. ასე, რომ პირველად 2000 წელს მოვიპოვე სტიპენდია ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტში და იქ, სამი თვის განმავლობაში ვმუშაობდი ამ საკანდიდატო დისერტაციაზე, რომელიც, შემდგომ, 2003 წელს დავიცავი აქ, თბილისში და რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

- თანამშრომლობა კი ამით გაღრმავდა და გადაწყვიტეთ დაგეწყოთ მუშაობა მეორე სადოქტორო ნაშრომზე..

– დიახ, 2009 წელს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ჩემს ცხოვრებაში.

მოვიპოვე ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოსტ-სადოქტორო სტიპენდია, რომლის საშუალებითაც, ორი წლის განმავლობაში, ვიყავი ვიზიტ-პროფესორი ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტში, სწორედ იქ წამახალისეს, რომ დამეწყო მეორე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა. ამგვარად, 2012 წელს ჩავირიცხე საჯარო და გლობალური სამართლის ადამიანის უსაფრთხოების სადოქტორო პროგრამაზე და 2019 წლის 22 მარტს, დავიცავი მეორე სადოქტორო, უმაღლესი შეფასებით. ამასთან, ესპანური თანამშრომლობის შესახებ მინდა გითხრათ, რომ ამ მრავალწლიანმა ურთიერთობამ და თანამშრომლობამ ფუჭად არ ჩაიარა და 2014 წელს, ესპანელი კოლეგების ძალისხმევით, გაფორმდა მემორანდუმი მათსა და თსუ-ს შორის და დაფუძნდა ეს-

(დასასრული IV გვერდზე)

(დასასრული)

- ჩვენი წარმატებული თანამემამულენი -

ლელა ჯანაშვილი: მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავი შრომაა საჭირო, სასურველი შედეგი სწორედ ამას მოაქვს...

პანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტი, რომლის აკადემიური დირექტორი გახლავთ ბარსელონას სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი და ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის კონსტიტუციური სამართლის კათედრის გამგე ჟუან ლუის პერეს ფრანსეჩი და მისი აღმასრულებელი დირექტორი მე გახლავართ. ამ ინსტიტუტის ფარგლებში, ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება.

- ცხადია, ზღვა ევროპული გამოცდილება დაგიგროვდათ?

– რასაკვირველია, ვროპული სამართლებრივი კულტურა ძალიან მაღალ დონეზეა და ვცდილობ, რომ ეს გამოცდილება ჩემს უნივერსიტეტს და სტუ-

დენტებს გავუზიარო. ამგვარი ევროპული კავშირებით კი ჩვენი ფაკულტეტი, ნოვატორია არამარტო სამართლებრივ სივრცეში, არამედ საუნივერსიტეტო განათლებაში.

- რამდენი ხანი დაჰყავით ესპანეთში?

– ორი წელი სტიპენდიის პერიოდში, აგრეთვე, 2014 წელს მქონდა ფონდ „ღია საზოგადოების" სტიპენდიაც ისევ ვიზიტ-პროფესორად და 6 თვის განმავლობაში ვიმყოფებოდი, როგორც მკვლევარი, უსაფრთხოებისა და პრევენციის სკოლაში.

- ესპანურ ენას, რასაკვირველია, კარგად ფლობთ, სად შეისწავლეთ?

– როგორც საქართველოში და ასევე ეპანეთშიც, კომბინირებულად. როდესაც ესპანური რეგიონალიზმის კვლევას აპირებ, აუცილებელია, ახლოს იყო კვლევის ობიქტთან, ენა კი განმაპირობებელი ფაქტორი იყო, ამიტომაც, მიზნად დავისახე ესპანური ენის სწავლა და დისერტაციაც ამ ენაზე შესრულდა.

- მოგვიყევით თქვენს ოჯახზე?

– მყავს 11 წლის შვილი - ნატალი, რომელიც წარჩინებული მოსწავლეა, რითაც ძალიან მახარებს. ახლახანს, წასული, რომ გახლდით, სიურპრიზებს მიგროვებდა, დაბრუნებულს კი ათი ათიანი დამახვედრა. უზომოდ მოტივირებულია და სწავლობს ძალიან ბევრ ენას. სხვათაშორის, პირველ კლასში სწორედ ესპანეთში შევიდა, მოგეხსენებათ, ბარსელონა ბილინგვურია და თავისუფლად ფლობდა კატალონიურსაც და ესპანურსაც.

- რა ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში სამსახურს და ოჯახს?

– ჩემთვის სამსახური არის მამოძრავებელი ღერძი მუდმივი განვითარებისა, თუმცა ნატალი ჩემთვის უპირველესია.

- ხაშურს რამდენად ხშირად სტუმრობთ?

– ზაფხულში დროს, ძირითადად, ხაშურში ვატარებ, თუმცა ძალიან მენატრება ხაშურში გატარებული ბავშობა, მეგობრები და სკოლა. ჩემს შვილს კი ძალიან უყვარს ხაშური, თითქმის, ყოველ შაბათ -კვირას იქაა.

- ქალბატონო ლელა, რა არის თქვენი წარმატების ფორმულა?

– შრომა, შრომა და კიდევ ერთხელ შრომა. მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავი მუშაობაა საჭირო, სასურველი შედეგიც სწორედ ამას მოაქვს.

- რა არის თქვენი პროფესიული კვარცხლბეკი, ამდენი წარმატების შემდეგ თუ არის ისეთი რამ, რის დაუფლებასაც ან განხორციელებას გეგმავთ?

– ვმუშაობ მონოგრაფიაზე, იურიდიული მეცნიერებების კუთხით, რომელიც, ვფიქრობ, იქნება ჩემი პროფესიული განვითარების კულმინაცია. იმედია, წარმატებით განვახორციელებ.

ჩვენმა დღევანდელმა რესპოდენტმა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა რომ ჭეშმარიტი ცოდნა და მიზნისკენ მუხლჩაუხრელი სვლა ყოველთვის ფასობს. ძალიან ამაყნი ვართ ქალბატონი ლელას გაცნობით და ბედნიერები ვართ, რომ „ხაშურის მოამბის" მეგობრების ფართო წრეს შეუერთდა. წარმატებები მას ცხოვრებისეულ და პროფესიულ ასპარეზზე, ჩვენ, მუდამ, მისი გულშემატკივარი ვიქნებით.

თინა ახალკაცი

ხაშურში, განთიადის ქუჩაზე, სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

აქამდე არსებული არხი მწყობრიდან იყო გამოსული, ვერ ატარებდა წყლის ნაკადს და უხვი ნალექის დროს, ადგილობრივ მოსახლეობას საფრთხე ექმნებოდა.

„ქუჩის მცხოვრებლების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა განთიადის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა. როგორც იცით, ქალაქის ტერიტორიაზე დაგეგმილია წყლის და საკანალიზაციო სისტემების სრული რეაბილიტაცია, რის შემდეგაც მოხდება არსებულ ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგებაც და ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება." -აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა განთიადის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოების დათვალიერებისას.

სამუშაოების ჯამური ღირებულება 46 476 ლარს შეადგენს, პროექტს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და მისი მიმდინარეობა მაისის შუა რიცხვებში დასრულდება.

უახლოეს პერიოდში, ასევე, დაგეგმილია ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა და დაბა სურამში მშვიდობისა და პუშკინის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, პროექტების განხორციელება აქტიურად გაგრძელდება და არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდება.

სურამში, ზინდისის ტყე-პარკში, 3,3 ჰექტარზე, 6000 ძირი მუხა და იფანი დაირგვება

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, ტყის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს. პროექტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ხორციელდება.

ტყის აღდგენის პროცესში, საკუთარი წვლილი შეიტანეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა.

მუხისა და იფნის ნერგების დარგვაში მონაწილეობა მიიღეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე მიხელ ჯანაშვილმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა სიმონ ნოზაძემ, ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის სატყეო სამსახურის უფროსმა გიორგი ნიკოლეიშვილმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა.

გასულ წელს ტერიტორიაზე ფიტოპათოლოგიური კვლევა განხორციელდა და დადგინდა, რომ ხეების დაზიანება და ხმობა მავნე მწერმა - მუხის დიდმა ხარაბუზამ გამოიწვია. სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, აუცილებელი სანიტარული ჭრების დაგეგმვის პარალელურად, მომზადდა ტყის აღდგენის პროექტი, რომელიც 3,3 ჰა ფართობზე განხორციელდება.

სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ტყის აღდგენის პროექტის ფარგლებში, მოიჭრა 90 გამხმარი მუხა. ხოლო, შესაბამისი სეზონის დადგომისთანავე ტყის გაშენების ღონისძიებებიც დაიწყო. ამ ტერიტორიაზე მიმდინარე წლის აპრილის ბოლომდე 6 000 ნერგი, მათ შორის 4800 მუხა და 1200 იფანი დაირგვება.

ზინდისი-ბაიანთხევის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, გამწვანების აქცია, ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციირებით, მიმდინარე წლის 21 მარტსაც მოეწყო, მასში აქტიურად იყვნენ ჩართულები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ორგანიზაციები და ახალგაზრდები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12)

პროფ. ალ. ღლონტი გომის შესახებ აღნიშნავს, რომ მისი ძველი სახელწოდებაა დაღალული, რაც არ მიგვაჩნია მართებულად (იხ. დაღალული).

გომში სახლობენ გვარები: აბრამიშვილი, ანტონიანი, არბოლიშვილი, არევაძე, არჯევანიძე, ბარათაშვილი, ბარბაქაძე, ბედინაშვილი, ბეთიშვილი, ბერიძე, ბოსტაღანაშვილი, ბიკაშვილი, ბიწაძე, ბრეგვაძე, გაგიშვილი, გაგლოშვილი, გაგნიძე, გაფრინდაშვილი, გაჩეჩილაძე, გეგეშიძე, გელაშვილი, გერგაული, გიგიტაშვილი, გიკაშვილი, გოგატიშვილი, გოგალაძე, გოჩიაშვილი, გრიგალაშვილი, გურგენიძე, გასიშვილი, დონაძე, დოფიძე, ელბაქიძე, ელიაშვილი, ერაძე, თედიაშვილი, თიბილაშვილი, იკაშვილი, კოზანაშვილი, კულუმბეგაშვილი, კუჭუხიძე, ლაცაბიძე, ლომიძე, ლურსმანაშვილი, მაზიაშვილი, მამიჯანაშვილი, მანუჩაროვი, მაყიშვილი, მახაჭაშვილი, მეზურნიშვილი, მელაძე, მექვინაძე, მიქაძე, მიქელაშვილი, მოსიაშვილი, მულაძე, მურჯიკნლი, ნადირაძე, ნოზაძე, ომიაძე, ოსაძე, პაპიაშვილი, რაზმაძე, როსტიაშვილი, როსტომაშვილი, სარაული, სირაძე, სოიტაშვილი, სტეფნაძე, სხილაძე, სხირტლაძე, ტაბატაძე, ტატიური, ტეფნაძე, ფარასტაშვილი, ფილიშვილი, ფოთელაშვილი, ფოცხვერაშვილი, ფხიკიძე, ქარქუზაშვილი, ქელეხსაშვილი, ქიტიაშვილი, ქობეზაშვილი, ქოქოშვილი, ქოჩიშვილი, ქურდაძე, ქურთაული, ქურთიშვილი, ქუჩმაზაშვილი, ქუჩიშვილი, ყასაშვილი, ყაულაშვილი, ყურაშვილი, ყიფიანი, შავერდაშვილი, შიუკაშვილი, შუბითიძე, ჩოჩიშვილი, ციცქიშვილი, ცხოვრებაშვილი, ცხოვრებაძე, ძაბახიძე, ხარშილაძე, ხაჩიძე, ხეთაგური, ხვედელიძე, ჯიოშვილი, ჯოღერდიშვილი, ჯოხაძე, ჯუღელი...

სახელწოდება გომს საფუძვლად უდევს მსხვილფეხარქოსანი პირუტყვის სადგომის სახელწოდება–გომი.

გომში შემორჩენილია ისტორიული სურამის ჭალის ნაშთი, რომელიც მის აღმოსავლეთით მდებარეობს. აქვეა ღვთისმშობლის ეკლესია, მისგან მოშორებით, აღმოსავლეთით კი, ე.წ. დაღალულას მინდორზე კოშკის ნანგრევები.

გორათი – ნასოფლარი, ხაშურის ერთ-ერთი უბანი, მდებარეობს მის დასავლეთით.

გორათის ახსნას პროფ. გურამ ყორანაშვილი ცდილობს ზანური გოლათიდან (გოლა - გორა).

ს. ს. ორბელიანის მიხედვით, „გორა მცირე ბორცვაკია”. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გორათის სახელწოდება მომდინარეობს იმ ბუნებრივი გორებიდან, რომლებიც აქ მდებარეობდნენ. სამი ბორცვიდან დღეს მხოლოდ ერთია, ორი კი აქ გამავალი საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობის დროს მოიშალა. გეოგრაფიულ სახელებში გავრცელებული -ეთ სუფიქსის ნაცვლად ვხვდებით სხვა ხმოვნიან ვარიანტებსაც: –ით ან –ათ–ს. გორათის შემთხვევაში ძირია „გორ“, ხოლო „-ათ“ სუფიქსი, –ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია.

სწორედ ეს გორა უნდა მოიხსენიებოდეს ჟამთაღმწერელთან 1260 წლის მოვლენებთან დაკავშირებით (იხ. შინდარა).

პირველი ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც გორათი, როგორც დასახლებული პუნქტი გვხვდება, 1700 წლით თარიღდება. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ერეკლე I-ის (ნაზარალიხანი) ბრძანებას ხაშურლებისა და გორათელებისადმი. ერეკლე I აფრთხილებს გორაელებს (ასე არიან მოხსენებული გორათელები დოკუმენტში) ხაშურელებთან ერთად, რომ აღარ შეაწუხონ სურამლები.

რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთრის მიხედვით, აქ ოთხი კომლია, კერძოდ, ნათიშვილი (2), ღონენაშვილი და ზაუტაშვილი.

გორათი 1728 წელს თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში წარმოდგენილია 18 კომლით. აქ დასახლებულია ერთი აზნაური. აქვეა სახასო მამულები, ვენახი. არის ერთი თვალი წისქვილი, რომლის წლიურის გადასახადი 120 ახჩაა. გადასახადების საერთო რაოდენობა კი 9590 ახჩას შეადგენს.

1793 წლით დათარიღებულ მიწის ნასყიდობის სიგელში ნათქვამია: „...ნასყიდობის სიგელი და პირი დაგიწერე და მოგეცი მე მამინაშვილმა ალელმა გაბრიელამ, შვილმან ჩემმან ფარემუზამა, ნონიამ, გურგენამ, დავითამ და ფარსადანამ და მომავალმა სახლისამა ჩემისამან შენ ტაგანაშვილს ბასილასა და შენს ძმას თევდორესა, ოდენს ჩემის ნებით გავიმეტე და მოგყიდე ჩემგანაც ნასყიდი შუბითიძისეული ჩხეიძეებისაგან მოსყიდული გორათს მიწა ზომით ორდღის ნახევრისა ერთი გვერდი ჩაისარაშვილის მიდგმამდინ, მეორე გვერდი, ქიტესა დევაძის მიდგმამდინ, თავს საყდრის გორის ძირამდინ, ბოლოს შოლამდინ“.

როგორც აქ მოტანილი სიგელის ნაწყვეტიდან ჩანს, გორათში მამულები იტრიელ ჩხეიძეებს ეკუთვნოდათ, რაც სხვა დოკუმენტებითაც დასტურდება.

გორათი და აქ მდებარე გორა ძველი ნამოსახლარიცაა, ხაშური-ბორჯომის რკინიგზის ხაზის გაყვანის დროს, XIX ს. 90-იან წლებში, აქ აღმოჩნდა არაერთი საყურადღებო არქეოლოგიური ნივთი. ამასთან დაკავშირებით 1895 წლის 4 იანვარს გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა: „გორათის ეკლესიის მახლობლად მუშა ლეკებს აღმოუჩენიათ ძველი დროის აკლდამები. გზისთვის საჭირო მიწა თურმე ამ აკლდამებიდან ამოაქვთ და ბევრს სპილენძის ნივთებსაც ჰპოულობენ. ჰპოულობენ დანებს, ხანჯლებს, ისრის ნამტვრევ ბოლოებს, ცულებს და აზიურ სადგისების მინაგვარს რაღაცებსაც, რომლებსაც მშვენიერი ხელოვნება ჯერ კიდევ კარგად ეტყობა. ეს ნივთები სულ სპილენძისაა. ბევრია იმისთანა ნივთებიც, რომლებსაც სახელი ვერ დავარქვი. ბევრს ჰპოულობენ აგრეთვე კრიალოსნებს, ყელის ძეწკვებს, მაკრატლებს და სხვა. ყველა ეს ნივთი ძალიან კარგად შენახულა. ეს ნივთები თურმე რაღაც უპატრონობით იკარგება, რადგან პოვნისთანავე მუშა ლეკები ჰყიდიან... იმისთანა ნივთებიც ჰხვდებათ, რომლებსაც ზედ რაღაც გაუგებარი წარწერა აქვთ“.

ბოლო პერიოდში აქ საფლავების გაჭრის დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს საბრძოლო და სამეურნეო იარაღები (შუბის პირი, სატევარი, ქვაბი და სხვ.), რომელიც თარიღდება ძვ.წ-აღ—ის II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებითა და I ათასწლეულის დასაწყისით. შეიმჩნევა სამეურნეო ნაგებობების საძირკვლები და სხვა.

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს გორათს და დატანილი აქვს რუკაზე. ასევე იცნობს იოანე ბატონიშვილიც, რომელიც აფიქსირებს მას, როგორც მოსახლე სოფელს.

გორათში მდებარეობს იოანე წინასწარმეტყველის (ნათლისმცემლის) სახელობის ეკლესია, რომელიც XV-XVI საუკუნეებით თარიღდება.

ხალხში გავრცელებული თქმულების მიხედვით, თამარ მეფეს სურამის ხეობაში დიდი ომი ჰქონია თათრებთან. თამარს თავისი ჯარით თათრები დაუმარცხებია და საქართველოს საზღვრებიდან უკუუგდია. ბრძოლის დამთავრების შემდეგ თამარი, დამდგარა ერთ ამაღლებულ ადგილზე და გულითადი მადლობა გადაუხდია ქართველი მეომრებისთვის, რომლებსაც დიდი გმირობა გამოუჩენიათ. თამარს მათთვის საჩუქრები მიუცია.

ამ ბრძოლის დროს დიდი ტალახი ყოფილა.

მადლიერი მეომრები ტალახიანი ფეხებით მიდიოდნენ მეფესთან და მადლობას ეუბნებოდნენ. თამარის გარშემო იმდენი ტალახი მოგროვილა, რომ კარგად მოზრდილი გორაკი წარმოქმნილა. ამის ნიშნად და ომში გამარჯვების მოსაგონებლად, საქართველოს მეფეს ამ გორაკზე ეკლესია აუშენებია.

გრიგალაშვილები – ნასოფლარი ისტორიული ძამის ხეობაში, სოფელ ძამის აღმოსავლეთით, მდ. ძამის მარჯვენა სანაპიროზე. მდებარეობს ხალების სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

მოსახლეობის სიმცირის გამო სოფელ ძამას მიაკუთვნებდნენ და მის ერთ-ერთ უბნადაც იწოდებოდა.

ქართული ისტორიული წყაროები და დოკუმენტები ამ სოფელს არ იცნობს.

მის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთით მთის ძნელად მისადგომ წვერზე მდებარეობს ძამის ცნობილი ციხე (ციხეგვერდის ციხე).

აქ სახლობდნენ იმერეთიდან გადმოსული გრიგალაშვილები, რომლებიც XX საუკუნის 50-იან წლებში გადმოასახლეს სოფელ ცხრამუხაში.

სახელწოდება დასახლებამ აქ მოსახლე გვარისაგან მიიღო. ამავე გვარისგან არის მიღებული **ს. გრიგალათი** (ხარაგაულის რ-ნი).

ვახუშტი ბატონიშვილი გრიგალათს ხეფინის-ხევში შემავალ სოფელთა შორის ასახელებს. მისეული აღწერის მიხედვით გრიგალათი წაქვა-ხევის-ჯვარსა და ციცქიურ-მლაშეს შორის არის მოთავსებული.

გ. ბედოშვილი აღნიშნავს, რომ სახელწოდება გრიგალათი ისეთივე –თ- სუფიქსიანი წარმონაქმნია, როგორიც არაერთი დასტურდება დასავლეთ საქართველოს, კერძოდ გურია-იმერეთის ტოპონიმიაში: კახა-თ-ი, ბერძენა-თ-ი, გრძელა-თ-ი, ფიქალა-თ-ი, ცქრიალა-თ-ი, ჩიბა-თ-ი, ბობოყვა-თ-ი, კვაჭალა-თ-ი, გელა-თ-ი, მამა-თ-ი, ჩოჩხა-თ-ი და სხვ. მრავალი. მათი დიდი ნაწილი წარმოშობით ანთროპონიმულია. ასეთივე შინაარსის უნდა იყოს ტოპონიმი გრიგალათი, რომელიც ეფუძნება გვარ გრიგალაშვილს და ნიშნავს „გრიგალაშვილების სოფელი“.

ადგილობრივ მოსახლეობაში პოპულარულია გადმოცემა, რომლის მიხედვით ამ სოფელში ცხოვრობდნენ ცნობილი მეგრიგლეები ანუ წნელის ღობის გრიგალით თავგადამხვევები. შდრ. ზემოიმერული გადაგრიგლვა, გადაგრიგლულ-ი (ღობისთავები) მსხვილი წნელით გადაწნული, გადაქსოვილი, გრიგალგაკეთებული, „გრიგალით ნაქსოვი ღობე ზოლებიანივით არის“, „მესრის თავზე გრიგალს გადაავლებენ ხოლმე“. გრიგალის ეს მნიშვნელობა საბას „სიტყვის კონაშიც“ არის დამოწმებული. გრიგალი აქ განიმარტება როგორც „დახვეული“. ეს სიტყვა საერთოს ავლენს დიალექტურ გრკალ-გრგოლ, -გრგოლ//რგოლ - ფორმებთან.

სხვაგვარი ხალხური ვერსიით გრიგალათი სოფელს იმიტომ შერქმევია, რომ აქ ხშირად ქრის გრიგალი: „რიკოთულას თიდან წამოვა ქარი, ატყდება დიდზე, წამოვა რავალც ნიაღვარი, მოაქს თან ყოლიფერი, ასდის ორშივალი ამ ნევანების და ხეფნურის წყალს. რაც მისი კუთნულია, გეიტაცებს გრიგალი“. ორივე გადმოცემა ხალხის პოეტური წარმოსახვისა და აზროვნების ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ, - დასძენს მკვლევარი.

გუდეთი – ნასოფლარი ლიხის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდებარეობდა ქვიშხეთის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე. მისი ზუსტი ლოკალიზაცია ან გაიგივება რომელიმე დასახლებულ პუნქტთან, ჯერ-ჯერობით არ ხერხდება.

ვახუშტი ბატონიშვილს გუდეთი მის მიერ შედგენილ რუკაზე დატანილი აქვს სოფლების – ტეზრისა და ბეღლეთს შორის. ე.ი. XVIII საუკუნის 30-40-იან წლებში, როდესაც ვახუშტი ბატონიშვილმა შეადგინა თავისი რუკები, სოფელ გუდეთის არსებობა ეჭვს არ იწვევს.

გუდეთი საბაშიოში შედიოდა და ქვიშხეთელ აბაშიძეებს ეკუთვნოდა.

იგივე სოფელი გვხვდება იოანე ბატონიშვილთანაც, თუმცა, ამ დროს აქ მოსახლეობა არ ჩანს. ამრიგად, XVIII საუკუნის 90-იან წლებში, როცა ი. ბატონიშვილმა აღწერა ქართლ-კახეთის სოფლები, გუდეთი არსებობდა ნასოფლარის სახით.

როგორც ჩანს, სოფელი მოიშალა ლეკიანობის შედეგად. XIX საუკუნეში ასეთი სახელწოდების სოფელი აღარ გვხვდება, ან შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ იგი დღეს რომელიმე სოფლის (ტეზერი, სავანისუბანი, რუსაანთუბანი, ბეღლეთი და სხვა) უბანს წარმოადგენს.

სოფლის სახელწოდება გვარ-სახელ – გუდაძისგან უნდა მომდინარეობდეს. გვარიდან ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის სახელწოდების მომდინარეობა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, უცხო არ არის ქართული სინამდვილისათვის.

ხარაგაულის რაიონში გვხვდება სოფელი გუდათუბანი.

გუდეთი ანთროპონიმური წარმოშობის სახელია.

დამპალა – იხ. ქაშვეთი.

დამჩხეულა – სოფელი, მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. ცნობილია დამჩხეულა პირველი და დამჩხეულა მეორე. ხაშურიდან დაშორებულია 9,5 კილომეტრით, შედის ცხრამუხის სასოფლო საკრებულოში, ზ.დ. 700 მ.

იგი ისტორიული საციციანოს შემადგენლობაში შედიოდა და წარმოადგენდა მის საზღვრს დასავლეთით. ასეთივე შინაარსითაა იგი ნაგულისხმევი ვახუშტის მიერ მეორე სასპასპეტოს აღწერის დროს.

ვახუშტი ბატონიშვილი დამჩხეულას დამჩხერალოს ფორმით მოიხსენიებს. ასეთივე ფორმით აფიქსირებს მას იოანე ბატონიშვილი გვერდისძირის სოფლების აღწერისას. იოანე ბატონიშვილის „აღწერის“ შედგენის დროს (XVIII საუკუნის 90-იანი წლები) აქ მოსახლეობა არ ჩანს. მისი ხელმეორედ დასახლება XIX საუკუნის დასაწყისიდან ხდება.

ნიკოლოზ ბუნიათისშვილის 1730 წლის 6 იანვრის ნასყიდობის წიგნიდან ჩანს, რომ დამჩხეულა მას ქვიშხეთელი ვახუშტი აბაშიძისათვის მიუყიდია. „...ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ბუნიათისშვილმა ნიკოლოზ, ჩემან ბიძაშვილმან ფირან, ადამ, როსებ, იესემ და ქაიხოსრომან თქვენ, ბატონს აბაშიძეს ვახუშტის... მას ჟამს, ოდენს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო და ნასისხლი დამჩხერალო“.

საინტერესოა დამჩხეულას საზღვრები. დოკუმენტის მიხედვით მისი საზღვრები ასეთია: „ქვეით ბრბონის სამზღვრის მიდგმამდის, ზეით ბორჯომის (ხეობის–თ.ლ.) მიდგმამდინ, ზეით ზეწნარის წვერამდინ“.

როგორც ჩანს, დამჩხეულა გარკვეული ტერიტორიის სახელწოდებცაა, რომელიც შემდგომ სოფლის სახელწოდებადაც იქცა. ვფიქრობთ, ასეთივე შინაარსით მოიხსენიებს მას ვახუშტიც.

სახელწოდება და-მ-ჩხე-ულ-ა ნაწარმოებია III სერიის I თურმეობითის ფორმისა და ენებითი გვარის ზმნისაგან. მასში ფუძეა „ჩხე“, „და“ ზმნისწინია, „მ“ - „ულ“ პრეფიქს-სუფიქსია, ხოლო „ა“ -ფორმანტი არის.

- ურ(-ულ) სუფიქსი, როგორც ცნობილია ობიექტის თვისებას თუ წარმომავლობას გვიჩვენებს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საისტორიო წყაროებსა და დოკუმენტებში დამჩხეულა გვხვდება დამჩხერალოს ფორმით, რომელშიც ფუძე „ჩხერ“ არის.

ს.ს. ორბელიანი ჩხერს (დაჩხერილს) განმარტავს, როგორც „დალეწილს“, „დამსხვრეულს“, „დამუსვრილს“.

ალ. ღლონტის მიხედვით, ჩხერ-ი და ჩხარ-ი (ზ. იმერეთი) ერთი და იგივეა, რაც არა ხშირის მნიშვნელობით იხმარება. აგრეთვე, ჩხერ-ი (თუშ.) ბაძგი მცენარეა, ხოლო ჩხარ-ი (თუშ.) ჭირხლს, ჭირხლიანს ნიშნავს.

დამჩხეულის შემთხვევაში კონკრეტულად რომელიმე ვარიანტის მიღება ჭირს. არ არის გამორიცხული, რომ ს.ს. ორბელიანის მიხედვით აიხსნას სოფლის სახელწოდება. შეიძლება მისი ტერიტორია მართლაც დალეწილი, დამსხვრეული ან დამუსვრილი იყო. არც პროფ. ალ. ღლონტის მიერ დაფიქსირებული მომენტის ვარიანტების გაუთვალისწინებლობა შეიძლება. არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ აქ ფლორა არა ხშირი, არამედ მეჩხერი ყოფილიყო ან მცენარე „ჩხერ-ი“ ყოფილიყო გავრცელებული. არც ის არის გამორიცხული, რომ სოფლის სახელწოდება ჭირხლიანთან, ჭირხლთან იყოს დაკავშირებული.

სახელწოდება „დამჩხეულა“ (დამჩხერალო“) ობიექტის თვისებას, წარმომავლობას უნდა გვიჩვენებდეს (-ურ) (-ულ–სუფიქსის გათვალისწინებით), ე.ი. ადგილი, რომელსაც დამჩხეულა (დამჩხერალო) ჰქვია, ჩხერი, დაჩხერილი, ჭირხლიანია და ა.შ.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

აღინიშნა ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილე

1 აპრილს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ღონისძიება ჩატარდა.

ღონისძიება გახსნა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა მაკა დიდებულიძემ. მან მოსწავლეებს წარუდგინა და გააცნო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი .

ღონისძიებას ესწრებოდნენ ისტორიკოსები, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ზვიად გოგუაძე, ხაშურის ეროვნული მოძრაობის ლიდერები, მოსწავლეები და დაინტერესებული პირები.

ღონისძიების მონაწილეებმა გაიხსენეს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ასპექტები და ზვიად გამსახურდიას როლი ეროვნული მოძრაობის აღორძინებაში, რამაც საფუძველი დაუდო საქართველოს დამოუკიდებლობას.

ღონისძიების ბოლოს, დამსწრე საზოგადოებამ ინტერესით დაათვალიერა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ზვიად გამსახურდიას ნაშრომები, ფოტოები, წიგნები, ინტერვიუები.

ზემო სერის მთაზე, „ახალი ბანას" მშენებლობისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია დასრულდა

ხაშური-ზემო სერის მთის დამაკავშირებელი, ე.წ. სერპანტინის 850-მ. სიგრძის მონაკვეთზე, რომელიც იმდენად იყო ამორტიზებული, რომ გადაადგილებას, ფაქტობრივად შეუძლებელს ხდიდა, ანაფრეზის სამანქანო გზა დაიგო.

ამ გზის აღნიშნული სახით რეაბილიტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე "ახალი ბანას" კომპლექსის საამშენებლო პროცესის წარმართვისა და ვიზიტორთათვის. ეს არის გზა, რომელიც საუკუნის მშენებლობასთან მიგიყვანთ.

რაც შეეხება, „ახალი ბანას" ტაძრის საძირკვლის მშენებლობას, პირველი ეტაპი უკვე მიმდინარეობს. შემომწირველთა დახმარებით, ამ დროისთვის, მომზადდა ტაძრის ფუნდამენტის პირველი ფენა, ე.წ. ბეტონის ფილა. რისთვისაც ამოიჭრა საძირკვლის ორმო, რომელიც ნაწილობრივ შეივსო 6 ათასი მ3, ბალასტით და 200 მ3, ბეტონით.

საძირკველი მზად არის შემდგომი საამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად, ფუნდამენტის ხრახნილით (არმატურა) და ბეტონით გამაგრებისათვის, რისთვისაც საჭიროა 68 ტონა ხრახნილის (16-მმ, არმატურა) და 800 მ3, ბეტონის მობილიზება.

"ადდგომის" სახელობის "ახალი ბანას" სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობას 2017 წლის 15 ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩაეყარა საფუძველი. პროექტის ავტორი სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე სვიმეონია.

– თავისუფალი ჭიდაობა –

წარმატება ქობულეთში

29-31 მარტს, ქობულეთში, ჩატარდა ვ. გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2007 - 2009 წლებში დაბადებულთა შორის, ამ შეჯიბრზე მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის რაიონებისა და ქალაქების 150 სპორტსმენი. ტურნირზე ჩვენი სასპორტო სკოლის აღსაზრდელებიც ასპარეზობდნენ (მწვრთნელი. გ. კვინიკაძე) და წარმატებასაც მიაღწიეს.: ჩემპიონები გახდნენ ლევან ნოზაძე (29კგ.) და გუჯიკო ლომიძე (55კგ.). ვერცხლის მედალი მოიპოვა დიმიტრი პეტრიაშვილმა (55კგ.). მესამე ადგილი კი გიორგი ცუცქირიძემ დაიკავა (38კგ.).

სათამაშოები-საბავშვო ბაღებისთვის

ა(ა)იპ "ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანება"(დირექტორი დავით ნოზაძე) დღენიადაგ ზრუნავს, რომ მუნიციპალიტეტში არსებულ 18-ე ბაღში იდეალური მდგომარეობა იყოს მოზარდებისათვის და ყოველდღიური მონიტორინგით აღწევენ კიდეც საუკეთესო შედეგს. ამ დღეებში გაერთიანებამ, ტენდერის ფარგლებში, ყველა საბავშვო ბაღისთვის, სადაც, ჯამში, 59 ჯგუფია, 11 სახეობის ახალი სათამაშოები შეიძინა. ასევე ავეჯით და ჭურჭლით მომარაგდა მინისტარის დასახლებაში მდებარე №8 საბავშვო ბაღი, რომლის მშენებლობა უკვე დასრულდა და უახლოეს პერიოდში მიიღებს აღსაზრდელებს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.